№ 202

სამშაბათი, 30 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 202

სამშაბათი, 30 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძა: კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსის სახლის ზედამხედველს, პოდპოლკოვნიკს გოგნიაშვილს—პოლკოვნიკობა და ამასთანავე დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან ავადმყოფობისა გამო მუნდირითა და პენსიით.

გადაყვანილ იქმნა: ტვერის მე-43 დრაგუნთა რაზმის კორნეტი თავადი ნაკაშიძე—ლიტოვის მე-17 დრაგუნის რაზმში.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო: კოლეჟსკი ასესორობა: შორაპნის მომრიგებელ სასამართლოს ნაწილის ბოქაულს ოდიშარიას, ცხინვალის მომრიგებელ სასამართლო ნაწილის ბოქაულს გობეჩიას; კოლეჟსკი სეკრეტრობა ქუთაისის ოლქის სასამართლოს მდივანს კვირკველიას, ტფილისის სამოსამართლო პალატის თარჯიმანს არდაზიანს, ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს თავადს ბარათაშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ზუგდიდის მომრიგებელ-სასამართლოს ნაწილის მდივნის თანაშემწეს საჯაიას, ქუთაისის ოლქის სასამართლოს გამომძიებლის თარჯიმანს მესხს, ქუთაისის სანოტარიუსო არხივის კანცელარიის მოხელეს კლდიაშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ლეჩხუმის მომრიგებელ სასამართლოს ნაწილის კანცელარიის მოხელეს ჩიქოვანს და ზუგდიდის მომრიგებელ სასამართლოს ნაწილის მოხელეს ხვიტიას.

დამტკიცებულ იქმნა გუბერნსკი სეკრეტრის ხარისხში: ზანგეზურის გამომძიებელი კანდელაკი.

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ივანე როსტომაშვილს მიურთმევია თხოვნა ბ-ნ იანოვსკისათვის, რომ ნება მომეცით ქართულის ენის ძველის და ახალის სტილის შესასწავლად ორ-თვიური კურსები დავაარსო ქ. ტფილისში. კურსებზედ მიიღებიან ქალი და კაცი, არა ნაკლებ 16 წლისა. მთელი კურსის ფასი იქნება 12 მანეთი. უმთავრესი საგანი კურსებისა არის ქართულის ენის უფრო საჭირო და ძნელ სიტყვა-წინადადებათა ახსნა-განმარტება.

*** ამ რამდენისამე ხნის წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსის განკარგულებით რკინის გზის სადგურებზედ ტელეგრაფისტთა, მეისრეთა და აგენტთა რიცხვი მომატებულ იქმნა. ყოველს სადგურზედ ამიერიდგან, ორის ტელეგრაფისტის მაგიერ, სამი უნდა იყოს, ხოლო ასევე მომატებულ იქმნა რიცხვი მეისრეებისა და აგენტებისა. რადგანაც ამითი რკინის გზას ხარჯი ემატება, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ თვით ვერ გადასწყვიტა სამუდამოდ ასეთის წესის შემოღების საქმე და ამიტომ ხვალ, 1 ოქტომბერს, ამიერ-კავკასიის უფროსი ინჟენერი ვედენეევი, მოძრაობის უფროსი ინჟენერი შაიკევიჩი და რკინის გზის უფროსის კანცელარიის საქმის მწარმოებელი გრიგორიევი პეტერბურგში მიდიან ამ საქმის შესახებ სამინისტროში მოსალაპარაკებლად.

*** 26 სექტემბერს ჩამოვიდა ქ. ტფილისს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი ი. ს. მედვედევი, რომელიც თან ახლდა მიწად-მოქმედების მინისტრს კავკასიაში მოგზაურობის დროს.

*** ტფილისის სახელმწიფო პალატა ოქტომბრის ნახევარს გადავა თავისს სამუდამო შენობაში, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

*** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის-მიერ გაგზავნილმა ტოპოგრაფთა დასმა სვანეთის ადგილ-მდებარეობის გამოსაკვლევად და გადასაღებად უკვე დაასრულა მუშაობა და ტფილისში დაბრუნდა. დასს აუარებელი მასალა შეუკრებია სვანეთის ტოპოგრაფიის შესახებ.

*** 15 ოქტომბრიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისსა და ბათუმის სადგურებს შორის შეცვლილ იქმნება მატარებელთა მიმოსვლის დრო.

*** შაბათს, 27 სექტემბერს, ტფილისის არსენალის საწყობიდგან გამოიტანეს ბერდანის ყალიბის თოფები და რამდენიმე ათასი ტყვია, რომელიც უნდა დაურიგონ ტფილისის გუბერნიის იმ სოფლის საზოგადოებათა ლ დუხაშორებს, სადაც ყაჩაღობა არის გავრცელებული.

*** ამ დღეებში გამოვიდა ტფილისში შემდეგი ახალი წიგნები რუსულს ენაზედ: „კავკასიის მევენახობისა და მეღვინეობის შესახებ ცნობათა კრებული“, რომელიც ქართლს შეეხება და „კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის 1896 წლის ანგარიში,“ „საქარის სანერგეს 1895 და 1896 წლ. ანგარიში“-ს დამატებით.

*** ბაქოდგან დეპეშით იუწყებიან, რომ სამოსამართლო პალატამ სტაროსელსკის მოკვლის საქმის განხილვის დროს ბრალდებულთაგანი მხოლოდ მაჰმედ-რიზა-ბეგ ბაკიხანოვი გაამართლა, ხოლო დანარჩენთ შესახებ-კი—ფატტახისა და მეშედი-მამედ-ბეგისა—ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა, რომლითაც გარდაწყვეტილი აქვთ, რომ გაგზავნილ იქმნან კატორგაში თითოეული 15 წლის ვადით.

*** რაკი დაარსებულ იქმნა ერობათა სტიპენდიები ტფილისის უსინათლოთა სასწავლებელში, უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოს მოუხსენებია მთავარ-მართებლისათვის, რომ ჩარიცხულ იქმნას სტიპენდიანტებად სასწავლებლის ეს მოსწავლენი: ტფილისის გუბერნიის სტიპენდიანტად—ს. გრიქუროვი და არმ. ერიბეკოვი; ქუთაისისა—ანასტ. მაჭავარიანი და ალ. კაცაძე; ერევნისა—ა. ზელფიდოვი და გეორ. მიკირტუმოვი; განჯისა—ვილგელმინ რეიხი და ვარტანუშ ვართანიანცი. ამას გარდა, რადგანაც ბაქოს გუბერნიისა და ყარსის ოლქიდგან თითო მოსწავლეა სასწავლებელში, შავის ზღვის პირის გუბერნიისა, ზაქათალისა და დაღესტნის ოლქისა-კი არც ერთი და სასწავლებლის საბჭოს ადგილის უქონლობისა გამო არ შეუძლიან მიიღოს ვინმე, ამიტომ შუამდგომლობს ამ გუბერნიების სტიპენდიანტებად ჩარიცხულ იქმნენ: ბაქოს გუბერნიისა-მირზა ავაქოვი და დროებით ნინო განძილლი; ყარსის ოლქისა—პეტრე იგნატიევი და ეკატ. გუმარდოვი; დაღესტნის ოლქისა—ივ. ბელოუსოვი და სოფ. გუდკოვისა; შავის ზღვის პირის გუბ.—პელ. თაყაიშვილი და ზაქათალის ოლქისა—ე. იმედიაშვილი.

*** ს. ატოცი. 27 სექტემბერს, ღამის სამს საათზედ, შემდეგი უბედურება დატრიალდა ჩვენს სოფელში. აზნ. ნიკოლოზ სამარღანიშვილმა და მისმა შვილმა შაქრომ ხანჯლებით მოჰკლეს თავადი მიტო ფალავანდიშვილი და სასიკვდილოდ დასჭრეს აზნაური ვანო გრიგოლის ძე დიდებულიძე. თვით საქმის გარემოება

## ფელეტონი

—

**სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

### IV

ტყის მოვლა-გაშენება

ტყის დანიშნულება ხეების გაყიდვით და ფულის შოვნით როდი განისაზღვრება. ტყის დიდი სარგებლობა ადამიანმა კარგა ხანია შეიგნო და დააფასა: ტყე ინახავს ჰავას სუფთად, ფაქიზად, ხელს უწყობს საზოგადოდ ნაყოფიერებას, დიდად აბრკოლებს მძვინვარე ქარს. ამიტომ ყველა მამულის პატრონი ვალდებულია ტყეს მიაქციოს დიდი ყურადღება და აღირსოს კულტურული მდგომარეობა. ჩვენ შემთხვევა გვეძლევა ცოტად გავეცნოთ სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის ნაწილის მემამულეთა ტყის მოვლა-გაშენებას. ვნახოთ, რამდენად სარგებლობენ, აფასებენ და უვლიან ისინი თავიანთს უზარ-მაზარ ტყეებს.

ტყის მოვლა-გაშენების დასასურათხატებლად გამოფენის ადგილზედ აგებულია ცალკე შენობა. ნიმუშები თავიანთ მოქმედება-მოღვაწეობისა წარმოდგენილი აქვთ როგორც სახელმწიფო დაწესებულებათ, აგრეთვე კერძო კაცთაც. ჩვენთვის მათი გაცნობა უფრო საჭიროებას შეადგენს, ამიტომ სახელმწიფო ქონებათა მმართველობის ნიმუშებსა და მუშაობას გვერდზედ გავუაროთ.

რახნო შიპოვის მამული ნ. ბალაშევისა პოდოლის გუბერნიაში არის. სულ მამული შეიცავს 12,028 დესეტინა მიწას. ამ მამულში მარტო ტყესა აქვს დაჭერილი 4,847 დეს. 44 საჟ. 1865—1876 წ. იჭრებოდა ტყე იმდენი, რამდენიც საჭირო იყო შაქრის ქარხნისა და გარშემო მდებარე სოფლებისთვის. 1880 წლ. ტყეს ძლიერ ცუდად ექცეოდნენ. 80 წლ. ტყის შესაბრალისმა მდგომარეობამ მიიქცია პატრონის და მმართველთა ყურადღება. ამ ჟამად ტყის ჭრა განიყოფება ორ ნაწილად—ა) მოსამზადებელი და ბ) უმთავრესი. მოსამზადებელი ჭრა უმთავრესს ერთის წლით ასწრობს. ამას საგნად აქვს ტყის გათხელება მზის სხივების თავისუფლად მოძრაობისთვის დაბურულ მიდამოში. ასეთის წესის წყალობით ჩამოცვივნული თესლი უფრო კარგად და მძლავრად ამოდის, რასაც ხელს უწყობს მზის სიცხოველე. როგორც ვთქვით, მოსამზადებელს ერთი წლის შემდეგ მოჰყვება უმთავრესი ჭრა. მამულის პატრონი 1896 წლ. მოელის ყოველ წლივ ერთ დესეტინაზე შემოსავალს 8 მან. 85 კაპ. მამულის აღწერის სიტყვით, 1865—1875 წლ. შიპოვის ტყეს მოუცია წმინდა შემოსავალი წლიურად 10.932 მან., შემდეგ ათის წლის განმავლობაში—38,948 მან., 1885—1895 წლ. ყოველ წლივ 45.094 მან. ეს აშკარად ამტკიცებს, რამდენად უვლიან ამ უკანასკნელ ხანებში საკუთარ ტყეს. რახნო-შიპოვის მამულში ტყეს აშენებენ ბუნებითის წესით. ძველ ტყის ქვეშ რომ ნორჩ ხეებს დააცალონ აღმოცენება და გამაგრება ტყის მოჭრამდის ათის წლის განმავლობაში, შიგ საქონლის გაშვების ნებას არ აძლევენ, შემდეგ ერთი წლით—როგორც ვთქვით—უმთავრესს ჭრას ასწრობს მოსამზადებელი. ტყე იჭრება ზამთარში. მუხას აშენებდნენ და აშენებენ შემდეგის წესით. მეჩხერ მუხის ტყეს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მუხით აქა-იქ მორთულ მიდამოს, გაწმენდის შემდეგ აძლევენ სახნავ-სათესად, სანამ რკოები დამზადდებოდეს. რკოების დამზადებისას ამათ პურით დათესილს ყანაში სთესავენ. თუ რკო კარგს ნერგს ამოიყრის, პურის აღების შემდეგ ორის წლის განმავლობაში საქონელს არ უშვებენ, შემდეგ ეძლევათ უფლება, საქონელი ორის წლის შემდეგ სპობს ბალახ-ბულახს, რომელიც ხელს უშლის ნორჩს ნერგებს. ხელოვნებით გაშენებაც შემოღებულია მამულში. მამულის მმართველობა შრომა-გამოცდილებამ იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ტყის გაშენების საუკეთესო საშუალებაა: ტყის გასაშენებლად დანიშნული ადგილი ერთის წლის წინ უნდა გაიცეს პურის ყანად, შემდეგ შემოდგომაზედ დაიხნას და გაზაფხულზედ შიგ დაირგას უკვე დამზადებული ნერგები (ნერგების დასამზადებლად რამდენიმე ქცევა მიწა ცალკე აქვთ). 1874 წ. 1895 წ. სულ გაუშენებიათ 588 დესეტინა ტყე (სხვა და სხვა ხეებისა). ტყე ამგვარად იხარჯება. შიპოვის საკუთარი შაქრის ქარხანა ჰხარჯავს 2000 კუბ. საჟ. შეშას ყოველ წელიწადს, სხვა საჭიროებაზედ 750 კუბ. საჟ., სულ მამულის წლიური მოთხოვნილება შეადგენს 2.750 კუბ. საჟ. შენობებისთვის იხარჯება 120 კუბ. საჟ. გარშემო სოფლელები აქედგან ეზიდებიან ტყეს თავიანთ საჭიროებისათვის. როგორც მკითხველი ჰხედავს, ბალაშევის მამულიდგან ტყე გარეთ მაინც და მაინც არ გადის, უფრო საკუთარ მოთხოვნილებას ჰხმარდება. ამის და მიუხედავად სამაგალითო წეს რიგით მიჰყავთ საქმე, რაც ყველასთვის სასურველ-სანატრელია.

გრაფ ბრანიცკების ტყე. ამათ მამულის შესახებ საზოგადოდ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, როდესაც კერძო ფარდულის ამბავსა ვწერდი, ეხლა განსაკუთრებით ტყეს შევეხებით. გრაფ ვ. და ი. ბრანიცკების ტყის ერთი ნაწილი ვოლინის გუბერნიაშია, მეორე—პოდოლიასაში, მესამე—კიევისაში. სულ ტყე შეიცავს 28.239 დეს. წესიერი მოვლა პატრონობა ამ ტყეში დაწყებულია 1868 წ. კიევის ტყეს უჭირავს 14.055 დეს., 90% მუხა შეადგენს, მეორე ნაწილს კიევისას 5734 დეს., ფიჭვი შეადგენს 60%; პოდოლის ტყე შეიცავს 2,660 დეს., მუხას შეადგენს 75%; ვოლინის ტყე 5790 დეს., 60% მუხაა და 40 ფიჭვი. ამ ტყეში იჭრება შეშა საკუთარ შაქრის ქარხნებისთვის (3 ქარ.) შუათანა რიცხვით თითო დესეტინა იძლევა წმინდა შემოსავალს 13 მან. თითო დესეტინა მიწაზედ რგავენ გაშენების დროს 1200—4800 ნერგს. თავისუფალ მინდვრებზე სთესენ მუხის რკოებს, ე. ი. აშენებენ მუხას. ნერგების დასამზადებელ ალაგს და სანერგეს დაჭერილი აქვს 15 დეს. მიწა, სათადარიგოდ აქვთ 2 მილიონზედ მეტი ნერგი. 1863 წ. 1897 წ. გაშენებულია ტყით 1179 დესეტ. უკანასკნელი რიცხვი აშკარად ამტკიცებს წესიერს მუშაობას ბრანიცკების მამულში. ფისის ქარხანა ამზადებს ყოველ წლივ 4.000 ფ. ფისს, 600 ვედრო სკიპიდარს და 2.400 ჩეტვერ. ნახშირს.

მოშნო-გოროდის ტყე ეკატერინე

*) იხ. „ივერია“ № 199.

ბა ასე იყო: 28 სექტემბერს ს. ატოცში დღეობა იცის; ამ დღეობაზედ დასასწრებლად მიდიოდა ცხენით თავ. მიტო ფალავანდიშვილი თავისს ცოლის ძმასთან (ვანო დიდებულიძესთან). სოფელს რომ მიატანა, ცხენი დაუფრთხა და გადმოაგდო. ცხენი გაიქცა. ფალავანდიშვილი იძულებული იყო ფეხით ასულიყო ატოცში, თან გზა და გზა კითხულობდა თავის ცხენს. სხვათა შორის მისულა საკითხავად ზემოდ მოხსენებულ ნ. სამარღანიშვილს ოჯახშიაც; კითხვა ვერც კი მოასწრო თურმე დაკარგულის ცხენისა, რომ მამა და შვილი მისცვივდნენ ხანჯლებით თ. ფალავანდიშვილს და დასჭრეს მუცელსა და ყელში; დაჭრილი მაშინვე გარდაიცვალა. ეს ამბავი გაიგო ცოლის ძმამ, ვანო დიდებულიძემ, და ჩამოვიდა საშველად, მაგრამ ისიც იქვე დასჭრეს იმავე სამარღანიშვილებმა. დიდებულიძე დაჭრილია თავში ექვს ალაგას, ყბაში, ხელები სრულიად დაჭრილი აქვს და მარცხენა ხელზედ სამი თითი აქვს მოჭრილი. დაჭრილს მალე მოუსწრეს თურმანიშვილებმა, მაგრამ მორჩენის იმედს არ იძლევიან. 28 ს. შუადღისას სურამის ბოქაული ბ-ნი ტერ-აკოფოვი მოვიდა ს. ატოცში და შეუდგა ამ საქმის გამოძიებას.

*** ს. ქვემო-მაჩხაანი. ჩვენმა სასიქადულო პოეტმა აკაკიმ თელავიდგან სიღნაღზედ გამოიარა და მაჩხაანშიაც ჩამობრძანდა ქიზიყის დეპოს სანახავად. როგორც მაჩხაანში, ისეც სიღნაღში ბევრი სთხოვა ქიზიყის ინტელიგენციამ: სადღესასწაულო სადილს გაგიმართავთო, მაგრამ მან არ ინება.

*** ტფილისის სასულიერო მართმადიდებელ სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე, ღვთის-მეტყველების კანდიდატი ბ-ნ ნიკოლსკი გადაყვანილ იქმნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის რუსულის ენის მასწავლებლად.

*** აზრად აქვთ ტფილისის საქიმიო ლაბორატორიაში გამოიკვლიონ ის ღვინოები, რომელსაც ტფილისის მოვაჭრეები ჰყიდიან.

*** ბაღოსნობის გამოფენისათვის სხვა-და-სხვა საბაღოსნო ნაწარმოებების მიღება დაიწყება პირველ ოქტომბრიდგან. ამასთანავე გამოფენის ბიურო სთხოვს ყველას, ვისაც აზრადა აქვს მონაწილეობის მიღება, თავიანთი ნაწარმოები 10 ოქტომბრამდე გამოგზავნონ გამოფენაზედ, გარდა ისეთის ნაწარმოებისა, რომლებიც მალე ფუჭდება. ეს უკანასნელი შეიძლება გამოფენის წინა დღეს, ან თვით გამოფენის დღეს გამოიგზავნოს. ნაწარმოებებს მიიღებენ დილის 10 დგან ნაშუადღევის 2 საათამდე და ნაშუადღევის 4-დგან საღამოს 6 საათამდე. მსურველმა უნდა მიჰმართოს კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში ბიუროს წევრებს ბ-ნთ ზ. დ. პრილიპკოსა და კ. მ. ზანისუს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. დოესი,** (გორის მაზრა). სოფელ დოესში სასოფლო ყრილობა იყო მამასახლისის ასარჩევად. შეიყარა ოთხი სოფელი: ხოველე, ქახვრული, გრაკალი და დოესი. დოესი შუა ადგილია ყველა ამ სოფლებისა და სასოფლო სამმართველოც აქ არის. გორის მაზრის უფროსის თანაშემწე თ. გიორგი ჯანდიერმა ხალხი წინდაწინვე გააფრთხილა, რომ უწესოება და ყვირილი არ იყოსო. მართლაც, სამაგალითო საწყნარე და წეს-რიგი ჰსუფევდა ამოდენა მოზღვავებულს ხალხში. საღამოს 5 საათზედ გორის მაზრის ახალი მომრიგებელი შუამავალი თ. გიორგი თარხნიშვილი შემოერია ხალხში, ხალხიც გარს შემოეხვია და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. თარხნიშვილმა შესაფერის სიტყვით მიჰმართა ყრილობას და აუხსნა მამასახლისის მნიშვნელობა და დანიშნულება. შემდეგ მ. ჯ—შვილმა მიჰმართა ყრილობას და სთქვა:

„გული როგორღაც სასიხარულოდ დამიწყებს ხოლმე ფანცქალს, როდესაც ასე ერთად თავმოყრილებსა გხედავთ. ვიფიქრებ, ალბად ამოდენა ხალხს იმისათვის მოუყრია თავი, რომ ითათბიროს სოფლის ჭირ-ვარამზედ, ან ჰსურს ამოურჩიოს სოფელს კეთილსაიმედო კაცი. ძველთაგან ნათქვამია: ხმა ღვთისა და ხმა ერისაო. გაიგონეთ, რაც სთქვა მომრიგებელ შუამავალმა“? ეგ დიდი ღვთის წყალობაა, რომ მაგისთანა დიდი უფლება გაქვთ მონიჭებული, თქვენც ისარგებლეთ, ხალხო, ამ უფლებით. აი, შემთხვევაც მოგეცათ, დაუფიქრდით კარგათ, გულდამშვიდებით მოითათბირეთ, ასწონდასწონეთ საქმე, რომელსაც ეხლა უნდა შეუდგეთ, სიგრძე სიგანე გაუსინჯეთ იმ კაცს, რომელსაც მამასახლისად არჩევთ, ნუ აჰყვებით იმათ, რომლებიც იძახიან: „მამასახლისად ისეთი კაცი გვინდა, რომ სახრე დაგვარტყას, კომბლით მიპასუხოსო“. ისეთი კაცი ნუ გინდათ, რომელსაც თოჯასავით თქვენ ნებაზედ ათამაშებთ და იმისას აღარას გაიგონებთ. ამისთანა კაცს არც არაფრის გაკეთება შეუძლიან. ბევრი თქვენგანი იძახის: ვინც უნდა ამოვირჩიოთ, გლეხ-კაცი-კი იყოს, რას დაგვიშავებსო. დაშავება-კი არა, საქმე ის არის, კიდეც გააკეთოს რამე.

„მე მრწამს, რომ თუ მთელმა ყრილობამ ამოირჩია სამამასახლისო კაცი, კარგი იქნება, მაგრამ თქვენ-კი ამოირჩევთ?.. საქმეც ეგ არის, რომ ჩვენში ერთი-ორი მეგირალა ირჩევს მამასახლისს და ხალხიც ცხვარსავით შეჰბღავლებს ხოლმე. ის-კი არ იცით, რომ იმ ორიოდე მეგირალეს ის ურჩევნია მამასახლისად, რომელიც კოჭს უნდა ალჩუდ დასვამს, უნდა—თოხანად.

„რა არის სოფლისათვის მამასახლისი? რას უნდა აკეთებდეს სოფლად და რას მოელის სოფელი კარგის მამასახლისისაგან? თითონ სახელიც გვიჩვენებს, რომ ის უნდა იყოს მამა ყველა სახლისა და აქედგან მთელის სოფლისა. კარგმა მამასახლისმა ისე უნდა უპატრონოს სოფელს, როგორც კარგის ჯოგის კრუხი თავის წიწილებს ჰპატრონობს. როცა წიწილებისას კრუხს ან ალალი დაუქროლებს, ან ძერა, ის მაშინვე გამწარებული შეებრძოლება და, რაც ძალი და ღონე აქვს, სცდილობს არ დაანებოს თავისს მტერს წიწილა, ისე კარგმა მამასახლისმა არავის არ უნდა დაანაგვრინოს ყოველი წევრი სოფლისა. სინიდისიერი მამასახლისი სამართალს თანასწორად და მიუდგომლად უნდა სჭრიდეს. კარგი მამასახლისი სოფლისათვის ყველაფერია. „პრისტავიც, პოსრედნიკიც“, „ნაჩალნიკიც“ და სხვა. კარგს მამასახლისს სოფლის საქმე საიმედო ჩარხივით აქვს მომართული.

სოფელს თუ კარგი მამასახლისი, კარგი მღვდელი და კარგი სოფლის მასწავლებელი ჰყავს, არა უშავს რა. ნათქვამია: როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო. თუ ეს სამი მოთავე კარგები გეყოლებათ, თქვენი საქმეც კარგად წავა, მტერს მტრულად დაუხვდებით და მოყვარეს მოყვრულად. ამოირჩიეთ ვინც გინდათ, მხოლოდ კაცი იყოს პატიოსანი, შეგნებული, მიუდგომელი და სოფლის საქმეებში ჩახედული და მცოდნე. კიდევ გეტყვით, ნუ აჩქარდებით, ფრთხილად მოიქეცით, დიდი საქმეა შეგვიანებისა და ამასთან პატიოსანის კაცის ამორჩევა. ისეთი კაცი არ ამოირჩიოთ, რომ შემდეგ ინანოთ და წყევლა-კრულვით იხსენიებდეთ, არ დაგვაიწყდეთ ძველი ქართული ბრძნული ანდაზა: შვიდჯერ გაზომეთ, ერთხელ გამოსჭერითო.

ამის შემდეგ ხალხმა ითხოვა, ნება მოგვეცით მოვიფიქროთო და თარხნიშვილმაც ნება დართო. ამორჩეულ იქმნენ ისევ ძველი მამასახლისი, სოფელ დოესში მცხოვრები გლეხი დიმიტრი ბაიდპური, არაფრის დამშავებელი, მაგრამ არც არას გამკეთებელი. იმის თანაშემწედ აირჩიეს სოფელ ხოვლეში მცხოვრები გლეხი ალექსა კოშაძე. ამას არა უშავს რა, წერა კითხვა კარგად იცის, ხალხში გამოსულია და სხვას ესა სჯობია. ამორჩეულ იქმნენ მოსამართლენიც.

არჩევნის შემდეგ მომრიგებელმა-შუამავალმა უბრძანა ამორჩეულთ შუა წრეში შემოსულიყვნენ და შემდეგი გრძნობიერი სიტყვა უთხრა:

„თქვენ ბედნიერნი ხართ, რომ ამ ოთხმა სოფელმა თავისი ბედ-იღბალი განდოთ! დიდი, ძალიან დიდი მოვალეობა გაწევთ თქვენ, ნამეტნავად მოსამართლეებსა. თქვენ ჩაგბარდათ დღეის იქით ეს სოფლები და მათი პატრონიც თქვენ უნდა იყოთ ამ სამი წლის განმავლობაში, უნდა მამობა გაუწიოთ ყველას: მდიდარს ღარიბი არ დაანაგვრინოთ, ძლიერს უძლური. ხალხს სინიდისიერი სამართალი მიეცით. ადვილად ნურავინ მიგიბირებთ, მოსპეთ მოქრთამობა და იარეთ სიმართლის გზაზედ. დღეის იქით ჩემ ხელ-ქვეით იქნებით და თუ რამ სიყალბე შეგამჩნიეთ, დაუყოვნებლივ გამოგცვლით და სამართალში მიგცემთ. ხშირად დაგვათვალიერებთ ხოლმე, კარგს მოგიწონებთ და ცუდს დაგიწუნებთ. იცოდეთ, ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება, თუ ამ საზოგადოების კეთილ დღეობას და სიკეთეს გავიგონებ, და ეს ხომ თქვენზედ ჰკიდია, სოფლის მოხელეებო! მაშ ჰგრე, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ თქვენ ახალ სამსახურში ქვეყნისა, ხელმწიფისა და ღვთის სასიხარულოდ!.“

მუდმივი დოელი

## წერილი კახეთიდგან.

11 სექტემბერს, თელავში მობრძანდა ბ ნი აკაკი. შუა მთასთან რამდენისამე ეტლით მიეგებნენ პატივის მცემელნი, რომელთა შორის თავად-აზნაურთა წინამძღოლიც იყო. აქავე გადმოსვეს ბ ნი აკაკი სამგზავრო ეტლიდგან მარშლის ეტლში და

---

ბალაშევისა. ე. ბალაშევის მამულის გამო გვექნება ლაპარაკი შემდეგს წერილში, ეხლა მხოლოდ ტყეს შევეხებით. მოშნო-გოროდის ტყეს უჭირავს 23.407 დესეტ., ეს რიცხვი მთელ მამულის ნახევარს შეადგენს. სიგრძე ტყის 50 ვერსტზედ მეტია. 1884 წლ. ტყე ეკუთვნოდა კნ. მ. ვორონცოვისას, რომელიც სრულიად არ უგდებდა ყურს მამულს, რის გამოც საზოგადოთ მამული და კერძოდ ტყე ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა. ტყეს აძლევდენ საჭრელად, ვინც უნდა შეხვედროდათ. ოღონდ ფული-კი მოეტანათ და თუნდა ცეცხლით მოესპოთ საჭრელი ადგილი. ერთის სიტყვით, ტყეს ეპყრობოდნენ ისე, როგორც ჩვენთა მემამულეთა უმეტესი ნაწილი ეპყრობა. მაგრამ ასეთი არეული და გზა დაკარგული მდგომარეობა დიდს ხანს ვერ გასტანს. როცა მამული ე. ბალაშევისამ შეიძინა, ამ უმზგავსო წეს-რიგიდგან იგი უფრო საკეთილდღეო სისტემატიურ წეს-რიგს დაადგა. 1888 წელს ტყე უკვე მოწყობილი და გაუმჯობესებული იყო, მას აქეთ დღემდის კულტურა მოახდინეს 1700 დესეტ., განსაკუთრებით გააშენეს მუხა და ფიჭვი. ამას ყოველ წლივ ემატება 350 დესეტ. მუშაობის დროს ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი შეხვედრიათ, მაგრამ ძალა მაინც თავისას არ იშლის. ტყიდგან გამოტანილი მასალა იყიდება სხვა-და-სხვა ადგილებში. გლეხები ჰყიდულობენ თავიანთ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და გასასყიდად. უმთავრესი შემოსავალი ტყეს შაქრისა და სხვა ქარხნებისაგან აქვს, ხე-ტყის გამყიდველე ბსაც ბლომად მიაქვთ აქედგან მასალა, ტყის ჭრა შემდეგის წესით ხდება. პირველ წელიწადს იჭრება ხეები, რომელიც საშენებელ ან სხვა მასალად გამოდგება; მეორე წელს, განსაკუთრებით ზამთარში—იჭრება შეშა. მეორე ზაფხულს სწმენდენ ტყეს. ამავე ზამთარს ეზიდებიან გასასყიდად შეშას. მომავალ გაზაფხულს რგავენ მუხას, ფიჭვს და სხვ. ერთს დესეტინაზედ აშენებენ 350 მუხას, 1000 ფიჭვს და სხვ. ტყის შემოსავალი დღით-დღე ჰმატულობს. ამას ხელს უწყობს ჯერ საზოგადოდ ტყის ფასის აწევა და მერე საუცხოვოდ წარმართული საქმე. გაზვიადებულად არ ჩაეთვლება მამულის მმართველს ქადილი, რომლითაც იგი ამთავრებს მოშნო-გოროდის ტყის აწერას. რაც უნდა დაბრკოლება შეგვხვედროდა, მომავალის იმედით არ შევშინდებოდითო, სადაც ასეთ სიმდიდრეს ვხედავთ, იქ მხნეობა უნდა გაორკეცდეს და შეჰქმნას მამულის გამაუმჯობესებელი ძალაო. ასეთ ადამიანის ხელში რა არ შეიძლება გაკეთდეს.

გრაფ ანდრ. ზამოისკის ტყე. გრაფ ზამოისკის მამული სედლეცის გუბერნიაშია. ასეთის წეს-რიგით წარმართული ტყის საქმე, როგორც გრაფის მამულშია მთელს რუსეთში სამაგალითოა. გრაფს გამართული აქვს, დიდი სანერგე ბაღი. უმთავრეს საგნად ისა აქვს, რომ მოამზადოს გასასყიდად კარგი ნერგები. არა ჩვეულებრივ წეს-რიგით დაწყობილი საქმე და დიდი გამჭრიახობა უნდა, რომ ტყის პატრონმა იაფ-ფასად მიაწვდინოს ყველას ნერგები, მაგალითად—ათასი ნერგი ათ მანეთად. ეს ხდება სახელმწიფო ბაღებში, რომელთაც სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო დიდს ყურადღებას აქცევს. ასეთ ნერგების გაშენებას ეძახიან, დემოკრატიულს. მეორეს—როცა განსაკუთრებით ბაღებისა და ქალაქის სხვა-და სხვა ადგილების გასამშვენებელს ხეებს აშენებენ და ამზადებენ—ეძახიან არისტოკრატიულს. არისტოკრატიულის წესით გატაცებული შესაფერად ჰხარჯავს ფულს და არასა ჰზოგავს, ოღონდ თავისს სურვილს მიაღწიოს და სილამაზით შემკული ხეები დაამზადოს. ეს კარგია, თუ არა, არისტოკრატიული სჯობს დემოკრატიულს, თუ უკანასკნელი პირველს, ამაზე ჩვენ არას ვიტყვით. შევნიშნავთ მხოლოდ არისტოკრატიულ ბაღების მოყვარეთ, რომ მარტო ამით შეზღუდვა თავიანთ ხეების გაშენების მოყვარეობისა მაინც-და-მაინც დიდად სასარგებლო არ არის, რადგან ვის შეუძლიან ერთს ხეში სილამაზის გამო თუმნების დახარჯვა. ასეთი ბაღოსნები სავსე ქისიანებისთვის არიან გაჩენილნი და ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. გრაფის მამულში შემოღებული წესი სამაგალითოა იმითი, რომ არაფერს არა ჰზოგავს იგი არისტოკრატიულ ხეების გაშენებისთვის. მუშტრებიც ბევრი ჰყავს. საქმის ზრდა თითქმის არა-ჩვეულებრივია. 1888 წელს (დაარსების ხანა) გრაფის ბაღს ეჭირა 2 დესეტინა, დღეს-კი 40 დესეტინა სივრცე აქვს დაჭერილი. წლიურად იყიდება 50,000 მან. ხეები, რომლითაც აშვენებენ კერძო თუ საზოგადო ბაღებს და სხვ. ხეები უფრო ველიკოროსსიაში და დასავლეთ რუსეთში ვრცელდება. ამ ბაღიდგან გამოფენაზედ ჩამოტანილი იყო 700 ნერგი, რომელიც ფარდულის მახლობლად მწყობრად არის დარგული. ამათში მხოლოდ 7 გამხმარა.

გ. ზ. კოჩუბეის ტყე. კოჩუბეის ჩერნიგოვის გუბერნიაში ეკუთვნის 7016 დესეტ. ტყე, პოლტავის გუბერნიაში—888 დეს. უკანასკნელი ტყე ხელოვნებით არის გაშენებული, წინედ იმისი ადგილი ტრამალი იყო. ჩერნიგოვის გუბერნიაში არის სტარო-გუტის ტყე, რომლის სიგრძე შეადგენს 15 ვერსს, სიგანე $9^1/_2$ ვერსს. გაშენებულ ტყეს უჭირავს 5826 დეს. 5309 დესეტინაზედ მარტო ფიჭვია, საზოგადოდ ტყის უმეტესი ნაწილი ფიჭვი არის, 1190 დესეტინაზედ მუხა, 296 დესეტინაზედ ცაცხვი და სხვ. კოჩუბეის ტყე შესანიშნავი იმითია, რომ რამდენისამე ვერსის მანძილზედ ალაგ-ალაგ ერთ წლოვანი ხეები არის, სიდიდით და ღირსებით საზოგადოდ განთქმული. ტყიდან გამოზიდული ხეები იყიდება საზღვარ გარეთ; მდინარე დესნითა და დნეპრით იგზავნება ოდესაში, აქედგან მარსელში. იგზავნება აგრეთვე მდინარე ვისლით დანციგსა და მემელში. შეშას ჰყიდულობენ შაქრის ქარხნები და გლეხები ნახშირისა და ფისის დასამზადებლად. თითო დესეტინას წმინდა შემოსავალი მოაქვს 9 მან. 60 კაპ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ათიოდე წლის წინად ერთი დესეტინა ფიჭვის ტყე ფასობდა 75 მანეთი, ამ მოკლე ხანში ფასობს 600 მანეთზედ მეტად. ტყის გაშენება ორ გვარია—ბუნებითი და ხელოვნებითი, საქმე ის არის, რომელი სად უფრო სასარგებლოა. კოჩუბეის რამდენსამე დესეტინაზედ სანერგე აქვს. ნერგებს აქ ინახვენ 2 წლამდის. სანერგეებში ნერგები არ ირწყვება, მხოლოდ მზის წინააღმდეგ ნახერხს ჰხმარობენ. ამ ჟამად 10 მილლიონი ნერგი აქვთ. უფრო შესანიშნავი კოჩუბეის მოღვაწეობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწიეს თელავისაკენ, სადაც დიდი რიცხვი პატივის მცემლებისა შეეგება ვაშას ძახილით. 13 სექტემბერს, გაემგზავრა იგი ალავერდს, რადგან ამ დიდებულის ნაშთის ნახვა და იმისს საეროზო დღესასწაულზედ დასწრება ყოფილიყო ბ-ნ აკაკის კახეთისაკენ მოგზაურობის მიზეზი. მაგრამ ვერ ინუგეშა პოეტმა ალავერდის ტაძრის ნახვით. ალავერდის ტაძრის შესახებ უფრო კარგი აზრი ჰქონოდა, ვიდრე თვით მისმა შიგნით და გარედ დათვალიერებამ დაანახვა. დიდად შეაწუხა ტაძრის აწინდელმა მდგომარეობამ: ეგონა თურმე, რომ ცოტაოდენი ნაშთი ძველის მხატვრობისა და ძველივე კანკელი შერჩენილი ექმნებოდა, მაგრამ ტაძარი შიგნიდგან სულ მთლად თეთრად გალესილი ჰნახა და კანკელიც ახლით შეცვლილი. ამასთან ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს წვეთს უდენია და შეიძლება მალე დაიქცეს, თუ არ უპატრონეს და სახურავი არ გამოუცვალეს. ალავერდის ძვირფას ნივთებს შორის მეტად საყურადღებოა ხელთ-ნაწერი სახარება მე-XI საუკუნისა, მხატვრობიანი და ოქროთი ნაწერ ასოებით; აგრეთვე ალავერდელი ეპისკოპოზის კვერთხის თავი, მშვენიერის ხელოვნურის მინანქრით შემკული და სხვა ძვირფასი ნივთები. ყველა ეს დაათვალიერა ბ ნმა აკაკიმ 14 სექტემბერს წირვის შემდეგ, რომლის დროსაც გალობდა ორი დასი მგალობელთა. ერთს მათგანს ჰლოტბარობდა ცნობილი მგალობელი მღვდელი პოლიევქტო კარბელაშვილი, აქავე სალოცავად მოსული. 13 და 14 სექტემბერს ბ-ნი აკაკი დადიოდა მლოცველთა შორის და განსაკუთრებულ მის ყურადღებას იქცევდნენ თუშები, ფშავლები და ქისტები. კახელ-ქიზიყელებმა ცუდად იმოქმედეს პოეტზედ თავისის უხეირო, ულაზათო და დაგლეჯილის ტანისამოსით. თქმა არ უნდა, იმერელ გლეხის ჩაცმულობასთან არ მოეწონებოდა ჩვენის გლეხის ჩაცმულობა...

15 სექტემბერს, პოეტი დაესწრო თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში გარდახდილს სამადლობელს პარაკლისს და ამასთანავე გასინჯა სამეფო სასახლე, რომელშიაც მოთავსებულია სასწავლებელი. აგრეთვე ამავე დღეს დაათვალიერა ქალთა საზოგადოების სამკერვალო. 16 სექტემბერს, ბ-ნი აკაკი თელავის საზოგადოებამ მიიწვია სადილად, რომელიც კლუბის დარბაზში იყო გამართული.

18 სექტემბერს, პატივცემული პოეტი თელავიდგან გაემგზავრა სიღნაღისაკენ ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის სანახავად.

ნადიკვრელი

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს ამ დღეებში დაუმტკიცებია პეტერგოფის გიმნაზიის მასწავლებელთა შემნახველ კასსის წესდება.

— მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ბრძანება დაუგზავნია ტყეების დამზოგველ კომიტეტებისათვის, რომ ნურავის მისცემთ ნებას არჩევით სჩეხონ ხეები ტყეში, იმ ნაწილის გარდა, რომლის ჩეხვაც გადაწყვეტილია ხოლმე ყოველ წლობითაო.

— უნივერსიტეტთა ფიზიკო-მათემატიკის პროფესორთ სთხოვენ მონაწილეობა მიიღონ 1898 წლის რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-X კრებაში და წარადგინონ მოხსენება საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების შესახებ საშუალო და დაბალ სასწავლებლებში, რადგან ამ საგნის განხილვაც სახეში აქვს მომავალ კრებას.

1905 წელს მოსკოვის უნივერსიტეტს 150 წლიწადი შეუსრულდება დაარსების დღიდგან. ამ დღის შესაფერ დღესასწაულის მოწყობა მომართვის წეს-რიგის შემუშავება მიუნდვიათ პროფესორის კლიუჩევსკისათვის.

— ამ ჟამად მოსკოვის უნივერსიტეტსა და მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებელში დაუარსებიათ ორი სტიპენდია ს. ი. ვიტტეს სახელობაზედ. სტიპენდიები დაარსებულია 7,500 მან. თანხის სარგებლით.

— ამ ჟამად მუშათა თავშესაფარ სახლების დაარსების საქმის განხილვა სასჯულო საქმეთა სამინისტროს გარდაეცა, რომელიც პირველ ხნობით შეიმუშავებს წესდებას ორ დიდ თავ-შესაფარის დაარსების შესახებ სატახტო ქალაქებსა და ათის პატარა თავშესაფარისა—პროვინციაში.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსდა ცალკე კომისია, რომელსაც საგნადა აქვს ცვლილება მოახდინოს სატყეო დაწესებულების მოხელეთა შორის. კომისიამ მუშაობა უნდა დაასრულოს 1 ნოემბრისთვის.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ბესსარაბიაში აგენტების თანამდებობა, რომელთაც იმას გარდა, რომ თვალ-ყური უნდა ადევნონ ფილოქსერასთან ბრძოლის საქმეს, ხელიც უნდა შეუწყონ ადგილობრივ მევენახეობის საქმეს.

— როსტოვში, საფრანგეთის ელჩის ბ-ნ მიშოს თაოსნობით, არსდება საზოგადოება, საფრანგეთის პრეზიდენტის რუსეთში ყოფნის სახსოვრად, რომელსაც აზრად ექმნება დაეხმაროს დონის სამხედრო ოლქის შეუძლო ფრანგებს.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს სცადოს და კვება დაუწყოს აბრეშუმის ჭიას საბრეშუმო სასწავლებლის სადგურებში ბოსტნეულის მცენარეულობის ძირით და თუ იხეირა, გაავრცელოს აბრეშუმის წარმოება ჩრდილოეთ გუბერნიების მცხოვრებთა შორის, სადაც თუთის ხე არა ჰხეირობს.

# უცხოეთი

**კრიტი.** ამ ბოლოს დროს ჟურნალ-გაზეთებმა ძალიან მოუხშირეს კრიტის შესახებ ლაპარაკს. ყველა გაზეთი ვალდებულადა სთვლის თავისს თავს რაიმე აზრი გამოსთქვას ამ კუნძულის გამო. კრიტიდგან გამოგზავნილ დეპეშებსა და კორესპონდენციებს ხომ დასასრული არა აქვს. ამისდა მიუხედავად, მაინც ძალიან ძნელია გაიგოს კაცმა ის, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად კრიტი. საქმე ის არის, რომ ყველა გაზეთს თავიწის სახელმწიფოს პოლიტიკა ალაპარაკებს და რადგანაც ზოგიერთი სახელმწიფოსთვის სასურველია კრიტში არეულობა იყოს, ხოლო ზოგისთვის მშვიდობიანობა, ამიტომ ზოგიერთი გაზეთიც მუდამ იმას გაიძახის, რომ კრიტში არეულობა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა არისო, ზოგი—მშვიდობიანობა და მყუდროებააო. ასეა, თუ ისე, დღეს ყველას სალაპარაკოდ ეს ბედკრული კუნძული გამხდარა და ევროპის სახელმწიფოთ ნება უნებურად უნდა დაასრულონ იმის საქმე. ყველაზედ ძალიან ამას, როგორც გაზ. „Standard“-ს ვენიდგან ატყობინებენ, ოსმალეთის სულთანია მოწადინებული. სულთანს უთქვამს ავსტრი-უნგრეთისა, საფრანგეთისა, იტალიისა და რუსეთის წარმომადგენელთათვის, რომ კრიტი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია და უნდა ვეცადნეთ, რაც შეიძლება მალე მოვაწყოთ იმის საქმეებიო. ელჩებსაც თავისის მხრივ პირობა მიუციათ სულთანისათვის, რომ თქვენს სურვილს სახელმწიფოებს შევატყობინებთო. ამავე დროს გაზ. „Standard“-ს სწერენ კანეიდგან: „კრიტის მცხოვრებელნი მეტად გაჭირვებულსა და უნუგეშო მდგომარეობაში არიან. ყველგან და ყოველ დღე ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობის მეტი არაფერი გაისმის. ხალხი იმდენად დაშინებულია, რომ იარაღს თავიდგან არ იშორებს და ძალიან ხშირად ორ მეზობელ სოფელს შორის მთელი ომი იმართება ხოლმე. ქრისტიანენი დარწმუნდნენ რა, რომ ევროპა არაფერს გვშველისო, ისევ საბერძნეთს—მიაპყრეს თვალი და იმისაგან მოელოდებიან ხსნას“.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთის ჟურნალ-გაზეთები მეტად კმაყოფილნი არიან ზავის პირველ-დაწყებით პირობებით. აი მაგალითად, რას ამბობს გაზ. „თერჯუმი ხაკიკატი“: „საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ახლად გაყვანილი საზღვარი ოსმალეთისთვის მეტად საკეთილო და სახეიროა. ამიერიდგან საბერძნეთის ჯარი ამ საზღვრის წყალობით ოსმალეთის სამფლობელოს ველარ შეესევა. ხოლო რაც შეეხება სამხედრო ჯილდოს 4 მილიონ გირვანქა სტერლინგს უნდა ვსთქვათ, რომ ოსმალეთს ამ უკანასკნელ 200 წლის განმავლობაში ამდენი ფული არსაიდგან მიუღია. ამიერიდგან მაჰმადიანთა უფლებანი უზრუნველ-ყოფილ იქმნენო.“

— კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, რომ ოსმალეთის სულთანი ყოველს საშუალებას ჰხმარობს, რომ ოსმალეთის ბერძნებს როგორმე ასიამოვნოს და გული მოუგოსო. ამ დღეებში, მაგალითად, მან აფიცერი გაუგზავნა პატრიაქს და შეატყობინა, რომ იმ ოცის მოსწავლის გარდა, რომელნიც ჩემს ხარჯზედ უმაღლესს სასწავლებელში იზრდებიან, სხვა

მოქმედებაში პოლტავის გუბერნიის ტრამალ-მინდვრებზედ ტყის გაშენების ცდაა. 1850 წელს კოჩუბეიმ მიანება თავი სახელმწიფო სამსახურს და მიჰყო ხელი სოფლის მეურნეობა-ოჯახობას. პირველ ხანებშივე კოჩუბეიმ დაიწყო ტყის გაშენება ზგუროვის მამულში (პოლტავის გუბერნიაში). თექვსმეტის წლის განმავლობაში კოჩუბეიმ გააშენა 136 დესეტინა. რადგან ნერგები 90 ვერსი სიშორედგან მოჰქონდან, კოჩუბეიმ იქვე სანერგო დააარსა. ყოველ წელს 150.000 ნერგი ირგვებოდა. ამ დროს შეამჩნიეს, რომ მიღებული რგვის წესი ძვირი ჯდებოდა და შემოიღეს ახალი წესი. მუშა არშინ ნახევრის სიგრძეზედ გასჭიმავს ხოლმე ზონარს, ორი ან სამი ქალი მიდის და სადაც ბაწარს კვანძი აქვს (ბაწარი რამდენისამე ალაგას გადაკვანძილია) 8 ვერშოკის სიღრმეზედ სთხრის მიწას. ამ პაწია სიღრმეში ჰრგავენ ჩამოტანილს ნერგებს. მეორე ზონარი პირველზედ დაშორებულია 3 ადლით. ამ გვარის წესით თითო ქალს შეუძლიან დარგოს 800 ნერგი. ერთ დესეტინაზედ ირგვება 4800 ნერგი, ეს მუშაობა დაწყებულია ახლანდელ პატრონის მამის მიერ, შვილიც არა ნაკლების მხნეობის პატრონი გამოდგა. ამანაც მიჰყო ხელი ტყის გაშენებას ქარის ძალის დასაკარგავად და მამულში სინოყივრეს დასაცველად. სადაც-კი შარა მიდიოდა, ათის საჟენის სიგანე ტყე გააშენა, ამის პირ და პირ ათ საჟენზედ იღებდნენ მიწას $1^1/_2$ არშინს. აქ ირგვებოდა ლობიოს ხე და გვერდებზედ ბზის ბუჩქები. ცალიერ ადგილზედ ჰრგავდნენ ალვის ხეს და სხვ. ასეთ ქარის დამცველ პაწია ტყეებს უჭირავს ზგუროვის მამულში 15 დესეტ. და 1.538 ოთხ-კუთხი საჟ. ტყის გასაშენებლად დიდის სიუხვით იხარჯება ფული მთელს მამულში.

გამოფენის დიდად დაღმართ ადგილზედ კოჩუბეი აჩვენებს თვალსაჩინოდ, თუ როგორ ამაგრებს ხრამებსა და აშენებს ზედ ტყეს. ამის შესახებ ჩვენ წინად უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ღ. კნიგის გუტიანის ტყე. გუტიანის მამულში (ხარკოვის გუბერნიაში) ტყეს უჭირავს 4765 დესეტ. და 2030 ოთხ-კუთხი საჟ. სამის წლის განმავლობაში წმინდა შემოსავალი ჰქონია 56270 მან. 05 კაპ. წლიურად. სოკოს, ხეხილსა და ნადირობას ტყეში არაფერი არ შემოაქვს. ტყის უმეტესი ნაწილი მუხას უჭირავს. ზაფხულში არდგენენ ანგარიშს—რამდენი ხე უნდა მოიჭრას; საზღვარს ტყეშივე უსმენ ნიშანს. ოქტომბერში დაიწყებენ ჭრას. საუკეთესო ნაწილი (შეშა) იგზავნება შაქრისა და სპირტის სახდელ ქარხნებში, უფრო ნაკლები—გასასყიდად და საკუთარ მამულში შენობების გასათბობად. ფიცრებს და სხვა ამ გვარ მასალას ხელით ამზადებენ ტყეში, როგორც ანგარიშიდგან სჩანს, ასე უფრო იაფად უჯდებათ. ტყეს აშენებენ ხელოვნებით, რადგან ადგილობრივი ჰავა და ნიადგი არ აძლევს საშუალებას ბუნებრივად გააშენონ. ხელოვნებით ტყის გაშენება დაუწყიათ 1886 წელს შემდეგის წესით: მიწაში ჩარჩენილ ჯირკვს იღებდნენ თურმე ძირ-ფესვიანად, მერე გაიყვანდნენ ორ კვალ ეკკერტის სისტემის სახნისით, სიღრმით 3 ვერშ. და სიგანით 8 ვერშ. კვალში ნიადაგს ჰფშვნიდნენ რიდის სისტემის ნიადაგ გამღრმავებელით, მერე ჰრგავდნენ ნერგს. ამ ბოლოს ხანს ეს წესი შეცვალეს და შემოიღეს სამხრეთ რუსეთის საშვალება. ნერგებს ერთის წლისას ჰრგვენ განგებ დამზადებულს, წალკოტით ამოთხრილს მიწაში. 12 წლის განმავლობაში სულ გაუშენებიათ 1102 დეს. 1940 ოთხ-კუთხი საჟ. გაშენებული აქვთ საკუთარი სანერგე. ტყე მუქთად ეძლევათ 40 მანეთამდის ცეცხლით დაზავებულ გლეხებს, აგრეთვე ღარიბებს, საჭიროების დროს მეტს აძლევენ, ამ საშუალებით კენიგმა მოსპო საზიზღარი მოქმედება ხე-ტყის გამყიდველთა და ტყიდგან მასალის ქურდულად გატანა. ტყის პატრონს დიდი ბრძოლა სჭირდება მავნე მწერებისა და სხვათა წინაამდეგ საბრძოლველად, რომელთა გამრავლებას თვით ნიადაგი ხელს უწყობს. ასეთი და სხვა არსებული დაბრკოლებანი ჩვენებურ აჩქარებულ ვაჟბატონს, რომელსაც ერთს დღეს უნდა ყველაფერი მიიღოს და მომავალს ვერ შეჰრიგებია, დიდი ხანია მოაბეზრებდა თავს და ხელს აღებინებდა. ტყეში სათიბიც არის, რომელსაც 55 დესეტინა და 2340 ოთხ-კუთხი საჟენი უჭირავს. აქ იჭრება ყოველ წელს 9000 ფუთი საუკეთესო თივა. მუშაობაზედ 400 მანეთი იხარჯება, წმინდა მოგება რჩება 1,850 მანეთამდის.

ამავე განყოფილებაში არის კალათები, საუცხოვოდ დამზადებული (პარიჟის კალათების მგზავსად), უგანათლებულესის კნეინა ო. ლოპუხინა-დემიდოვის სასწავლებლიდგან გამოგზავნილი. მასალად ნახმარია ტირიფი. აქვეა ამავე მასალით გაკეთებული სავარძელი, მაგიდა, ყვავილების დასადგმელი და სხვა ნივთები. კნეინას სასწავლებლის ნამუშავარმა მთელს რუსეთში გაითქვა სახელი, თითქმის ყველა ქალაქებში აქვს ბაზარი. სასწავლებელი დაარსებულია 1890 წ. კიევის გუბერნიაში. მასწავლებლად მოწვეული იყო ოსტატი პარიჟიდგან. პირველ ხანაში მარტო ათი მოსწავლე იქმნა მიღებული. სხვა-და-სხვა ნივთების დასამზადებელი მასალა საკუთარ ადგილში მოჰყავთ, ამისთვის სასწავლებლის დაარსებამდის რამდენისამე წლით ადრე განგებ გადაჭრილ ადგილზედ გააშენეს ხეები (ლერწიანი). ამ ჟამად სასწავლებელში 22 მოსწავლეა. მოსწავლენი, სანამ ხელობას შეისწავლიდნენ, თვიურს ჯამაგირს იღებენ,—შესწავლის შემდეგ ნაჭრობით ჰმუშაობენ. ამ სასწავლებელში ნაკეთებს კავკასიაშიაც ჰგზავნიან. მშვენიერი ნიმუშები გამოუგზავნიათ გამოფენაზედ. თითქმის ყველა ნივთები უკვე გაყიდულია, მაგრამ გამოფენის ადმინისტრაცია ჯერ არავის არ აძლევს.

ის, რაც ეხლა უნდა მოვახსენო მკითხველს, ადრევე უნდა მეთქვა, მაგრამ ფრანგულის ანდაზისა არ იყოს, სულ არაობას ისევ გვიან სჯობია. ჩვენ გვსურს მკითხველს მოკლედ გავაცნოთ ტყის საქმე მთელს რუსეთში. მთელს რუსეთში ტყე შეადგენს სახელმწიფო 40%, ე. ი. 179.890.000 დესეტინას. ყველაზედ მეტი ნაწილი ეკუთვნის თვით სახელმწიფოს, ორი მესამედი იმისს ხელშია, დანარჩენს ეპატრონებიან კერძო კაცნი, გლეხების საზოგადოება და საუფლისწულო მმართველობა. სახელმწიფოს ეკუთვნის 117.307 ათასი დესეტ, კერძო კაცთ—40.604 ათასი დესეტინა, გლეხებს—15.028 ათასი დეს., საუფლი-

ათი ახალგაზდა ბერძნის აღზრდასაც ვკისრულობო. საერთოდ სულთანი, როგორც გაზეთებიდგანა სჩანს, თავისს ქვეშევრდომ ბერძენთათვის, ოსმალეთ საბერძნეთის ომის შემდეგ, არაფერს იშურებს და ისევე ექცევა, როგორც თვით ოსმალოთ. ამის მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთის ბერძნებმა ომის დროს ოსმალეთს არ უმტყუნეს და საბერძნეთს არ მიეშველნენ. ორიოდე მაკედონელისა და ეპირელის ბერძნის გარდა, საბერძნეთის ჯარში ოსმალელს არც ერთს სხვა ბერძენს არ მიუღია მონაწილეობა და აი, სწორედ ამ გარემოებამ მოუგო და მოულბო გული როგორც თვით ფადი შაჰს, აგრეთვე ოსმალეთის სახელმწიფოს ყველა წარჩინებულთაო.

## დამაკვირდი

უკადრი ჩვენის სიცოცხლისა ნელ-ნელა სჭკნება და მასთან ერთად ჩვენცა ვჭკნებით.

მიჰლმანი

***

ზარმაც სულს სხეული არ დაემორჩილება.

ქაბუსი (სპარს.)

***

მხნედი ხარი უფრო მკირფასია, ვიდრე ზარმაცი ადამიანი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჯერ ისევ 1851 წელს ლონდონის გამოფენის დროს დიდი მსჯელობა ჰქონდათ და სცდილობდნენ ფულისათვის ისეთი დოლაბი გაეკეთებინათ, რომ ქურდებს ვერ გაეტეხათ.

ფულის დოლაბსა და ყუთს ქურდები ამტვრევდნენ და ამტვრევენ კიდეც რკინის კეტით. მაშინ გამოიგონეს ისეთი ყუთები და დოლაბები, რომ რკინის კეტს ქურდი წვერს ვერსად მოაკიდებინებდა და ამ იარაღით ვეღარ გასტეხავდა. მაგრამ ქურდებმა მაინც თავისი არ დაიშალეს და ეხლა ბურაოს მიჰმართეს და ამ ბურაოთი გახვრეტავდნენ ხოლმე რკინის დოლაბს, შეჰყოფდნენ ხელს და გამოიღებდნენ ფულს. მაშინ ფულის პატრონებისათვის გააკეთეს ისეთის მაგარის ფოლადის დოლაბები, რომ ბურაო ვერაფერს აკლებდა. ქურდები არც ეხლა დაღონდნენ. მართალია, რკინის კეტითა და ბურაოთი ვეღარას ჰხდებოდნენ, მაგრამ ქურდის მადამა და მოხერხებამ მაინც გაიმარჯვა. მოიტანდა, ბატონო, ქურდი ნიტროლიცერინს, აფეთქებდა ამ წამალს და ამ გვარად გასტეხდა ხოლმე ფულის ყუთსა და დოლაბს.

უფრო ძლიერ თამამი და მოხერხებული ქურდები ამერიკაში ბრძანდებიან და ისე შეაწუხეს ხაზინა და ბანკები, რომ 1890 წელს შეერთებულ შტატების მთავრობამ მოუწოდა საგანგებო კომისიას და დაავალა, ისეთი რამ ყუთი ან დოლაბი გამოიგონეთ, რომ ქურდებმა ვეღარ გასტეხონო. ხუმრობა კი არ გეგონოთ. ასეთი კომისია მართლა შესდგა და შეუდგა საქმეს. კომისიამ შეისწავლა ყველა ის ხერხი და ღონისძიება, რომელსაც-კი ჰხმარობდნენ ქურდები და შეუდგა იმათსავით ფულის ყუთებისა და დოლაბების მტვრევას. ამასთანავე გამოაცხადა, ვინც ისეთს დოლაბს გააკეთებს, რომ ჩვენ ვერ დავამტვრიოთ, დიდს ჯილდოს მიიღებსო. რაღა თქმა უნდა, ამერიკელნი თავებს იმტვრევდნენ, ისეთი დოლაბი გავაკეთოთ, რომ ვერავინ დაამტვრიოსო. კარგა ხანს ეს ჯილდო ვერავინ იგდო ხელთ, რადგანაც, რაც უნდა მაგარი დოლაბი გაეკეთებინათ, კომისია ადვილად ამტვრევდა. ბოლოს ერთმა მექარხნემ ისეთი ყუთი მოიტანა, რომ კომისიამ ვერას გზით ვერ გასტეხა. მექარხნემ ფული ჩაიჩხრიალა. ასეთი ყუთები ყველამ იყიდა და სხვათა შორის ერთმა ბანკმაც. (National Bank). ქაღალდისა და ოქროს ფულით სავსე ყუთი ბანკის საკუჭნაოში კედელში ჩასვეს. ბანკის მმართველნი არხეინადა ბრძანდებოდნენ, აბა ამ ყუთს რა ეშმაკი გააღებს ან დაამტვრევსო. მაგრამ, ქურდებმა მაინც გაიმარჯვეს. ერთს დილას შევიდნენ ბანკის საკუჭნაოში და ფულის ყუთი სულ ერთიანად დამსხვრეული დაჰხვდათ. ამ გვარად ქურდებმა საგანგებოდ შემდგარ კომისიას აჯობეს.

ეხლა კიდევ ერთს ამერიკელს, გვარად კორლისს, გაუკეთებია ფოლადის ყუთი ფულისათვის. ყუთი ბურთსავით მრგვალია და ძლიერ მაგარი. ასე ამბობენ, ამ ყუთს ვერც რკინის კეტი დააკლებს რასმეს, ვერც ბურაო და ვერც ვერა წამლის აფეთქებაო. ყუთში ისეთი მანქანაა გამართული, რომლის ძალითაც ყუთი მხოლოდ დანიშნულ დროზედ იღება. ვნახოთ ეხლა, დაწყნარდებიან ქურდები და ქედს მოიხრიან ამ გამოგონების წინაშე, თუ ისევ იმათი ხერხი და უნარი გაიმარჯვებს?

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 სექტემბერი.

**იურიევი.** აქაურ ინტელიგენტთა საზოგადოების ზოგიერთნი წარმომადგენელნი პასუხის გებაში იქმნენ მიცემული იმიტომ, რომ „ლივონიის“ კორპორაციის 75 წლის არსებობის დღესასწაულის დროს, თავიანთ სახლებზედ, დაწესებულის ბაირაღების ნაცვლად, ლიფლიანდიის, საკორპორაციო ბაირაღები აღმართეს. სასამართლომ მათ ჯარიმა გადაუწყვიტა და დაადგინა, რომ 24 საათის განმავლობაში ყველა იმათი ბაირაღები ჩამოღებულ იქმნასო.

**კონსტანტინეპოლი.** პორტა დაჰპირდა ბოლგარელებს, წინად დაპირებულის კუკუშისა და მელნიკის საეპისკოპოსო ბერათებს გარდა, სტრუმიცის ბერათსაც. ბოლგარელები სცდილობენ შეიძინონ ბერათები, რომ დიბრესა და მონასტირშიაც იქმნას დაწესებული საეპისკოპოსო.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: „ილდიზ-კიოსკში ჯერ კიდევ გაჯავრებული არიან ბოლგარიის წინააღმდეგ. საფრანგეთის კომისარი, „Dettepuglipve“-ს მმართველი ბერჟე სოფიაში იქმნა გაგზავნილი, რომ დაგვიანებული ხარკი მოითხოვოს.

**დარმშტადტი.** აქ მოვიდა სიამის მეფე მემკვიდრე პრინციოთურთ. სადგურზედ დახვდნენ ხელმწიფე და დიდი ჰერცოგი.

29 სექტემბერი.

**ბაქო.** ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსიამ, განიხილა რა სტაროსელსკის მოკვლის საქმე, გაამართლა მხოლოდ ბაკიხანოვი; დანარჩენს ორს ბრალდებულთ კატორგა აქვთ გარდაწყვეტილი, თითოეულს 15 წლით.

**კონსტანტინეპოლი.** გერმანიის ელჩმა გარდასცა სულთანს გერმანიის იმპერატორის მიერ საკუთარის ხელით დაწერილი წერილი.

**ცეტინიე.** სკუტარში მოწვეულ ალბანიის ტომთა მეთაურებმა სკუტარის გუბერნატორის პირით სრული მორჩილება განაცხადეს სულთანისა და სამშობლოშივე დაბრუნდნენ.

**ათინა.** ედგარ ვინსენტი ინახულა მეფემ და დღეს იგი ლონდონში მიდის.

**კონსტანტინეპოლი.** ანატოლიის ახლად გაწვეულმა ჯარის-კაცებმა ბრძანება მიიღეს ბრძანება, რომ თესალიაში სამსახურად მოემზადეთო, რათა ამითი შესრულებულ იქმნას ის დანაკლისი, რომელიც ჯარს მოუვიდა სხვა-და-სხვა სენის გამო. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ეს განკარგულება აღსრულებაში არ იქმნება მოყვანილი, რადგანაც ჯარის რაოდენობა კმასაყოფელიაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნით ლანჩხუთის აფთიაქის მმართველს ბატონს ნესტორ მხეიძეს, რომელმაც იკისრა რწმუნებულის ჩემდამო ლანჩხუთის სკოლის ერთ უღარიბეს მოსწავლის მაგიერ სწავლის ფულის გარდახდა 10 მანეთამდის.

ლანჩხუთის ნორმალურ სკოლის ზედამხედველი ა. წითლიძე

## განცხადებანი


ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.




Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | › |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | › | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова . . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же . . . . . | › | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили . . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же . . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Ѳ. Жорданія. . | | 30 |

ქართული თეატრი
ქართული სცენის მოყვარეთა ამხანაგობის
ანტრეპრიზა

21 სექტემბრიდგან დილის 10—2 საათამდე თეატრის კასსაში ისყიდება **აბონიმენტის ბილეთები** დაკლებულის ფასით:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოჟა ლიტერისა ქვევითი | 12 მ. | 50 კ. | მაგიერ | 10 | მანეთად | | |
| „ „ ზევით | 11 — | — | — | „ | 8 | „ | |
| „ ბენუარისა . . . | 7 — | 40 | — | „ | 6 | „ | |
| „ ბელეტაჟში პირდაპირ | 6 — | 40 | — | „ | 5 | „ | |
| „ „ გვერდისა | 5 — | 40 | — | „ | 4 | „ | |
| სავარძელი 1 რიგისა . . | 3 — | 10 | — | „ | 2 | „ 20 | კ. |
| „ 2 და 3 „ . . . | 2 — | 10 | — | „ | 1 | „ 70 | „ |

აბონიმენტი ისყიდება 10 და 20 წარმოდგენისათვის
პირველი წარმოდგენა დანიშნულია 8 ოქტომბერს
(4—ნ.—4)


სწულო მმართველობას 5,117 ათასი დესეტინა, სამთომმართველობას — 1,832 ათასი დესეტინა. რუსეთში იყო (და არის ჯერ კიდევ ზოგიერთ ადგილას) ისეთი დრო, როცა უთავბოლოდ ექცეოდნენ ტყეს. სჭრიდნენ, სპობდნენ შეუბრალებლად, თითქოს ტყე გამოულეველი იყოსო. ასეთს გარემოებას სამწუხარო შედეგი მოჰყვა, ზოგი სულ უტყეოდ დარჩა, ზრგს მთელს მამულში ტყის გაჩეხვის შემდეგ ნიადაგის სინოყივრე შეიცვალა, ქარმა იმატა ძალა, ჰავა გადაბრუნდა და სხვ. ასეთმა შედეგმა გონზედ მოიყვანა ზოგიერთები და შექმნა ორ გვარი მიმართულება — ტყის გაშენებას შეუდგნენ, სადაც მოსპეს, ან არ იყო, და ტყის მოვლას, სადაც უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ამას ნათლად ჰმოწმობენ კიევის გამოფენაზე დამსწრე მემამულენი. რუსეთის მთავრობამ ტრამალს მინდვრებზედ ტყის გაშენების პროექტის შესახებ ლაპარაკი 1843 წელს აღძრა, ბევრნი ღიმილით მიეგებნენ ასეთს სურვილს და მისი წადილი ოცნებად ჩასთვალეს, მთავრობამ ამას არ მიჰხედა, საცდელად აირჩია ეკატერინოსლავის გუბერნიაში მაღლობი, გაშლილი და მშრალი ტრამალი. მართველად გაგზავნილი იქმნა სწავლული ახალგაზდა ვიქტორ გრაფი, რომელმაც ბევრის ჰაპან წყვეტის, ვაი ვაგლახის და ბრძოლის შემდეგ შექმნა ის, რისთვისაც ჩამოსული იყო — ვრცელ ტრამალზედ გააშენა მწვანე ტყე. გრაფს ახლო-მახლო მცხოვრებლებიც-კი უშლიდნენ ხელს და სულელს ეძახოდნენ. დღეს ამ ადგილას 3,500 დესეტინა ტყე არის. მერე ყურადღება მიაქციეს ნოვოროსიის მინდვრებს, სადაც გააშენეს 6 ოთხ-კუთხი მილი ტყე და ყოველ წლობით უმატებენ 750 დესეტინა. საზოგადოდ დიდი ყურადღება მიაქციეს და ხელოვნებით ბევრს ალაგას შექმნეს ტყე. ვოლგის ახლო მინდვრებში საუფლისწულო მმართველობამ დიდი ხანია დაიწყო ამგვარივე მუშაობა, ამით ჰსურს ადგილობრივი ჰავა ცოტა გააუმჯობესოს. კერძო კაცთ, რომელთაც ტყის გაშენება მოუწადინებიათ, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო დიდს დახმარებას უწევს, ნერგი ხომ ძლიერ იაფ ფასად იყიდება სახელმწიფო სანერგეში: ათასი ნერგი ერთ მანეთიდგან ერთ თუმნამდეა. კერძო სანერგებიც ვრცელდება და დიდს მასალას იძლევა, თან იაფადაც, მაგალითად, ტულის გუბერნიაში შატილოვი და სხვანი.

დღეს შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ მთავრობასთან ერთად გამოიღვიძეს და დიდის მხნეობით მოჰკიდეს ხელი ტყის მოვლა-მოშენებას კერძო მემამულეებმა. შეიგნეს ტყის დიდი მნიშვნელობა და შრომა და ცდა დაიწყეს. სადაც შეგნებული შრომა ჰმეფობს, იქ ყოველთვის სიკეთეს უნდა მოველოდეთ. ამათ მოქმედებას რომ კარგად ჩაუკვირდებოდნენ ჩვენებურნი მემამულენი, რომელთაც არა მცირე ტყე აქვთ ღვთის ანაბარად დაგდებული, ვგონებ არა წააგონ-რა.

მალაქია ბოლქვაძე

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою. Тифлисъ 29-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე,